Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

შპს „სოკარ მიდსთრიმ ოპერეიშენს – საქართველოს ფილიალი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 6
სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ფილიალი და მისი საქმიანობები 8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა 9
3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში 16
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 18
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 19
6. გაცემული ავანსები 19
7. საოპერაციო ხარჯები 19
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 20
9. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 20
10. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა 20
11. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები 22

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
არა ლიკვიდური აქტივი	9	587,037	-
სულ მიმდინარე აქტივები		**587,037**	
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	591,681	3,927,232
გაცემული ავანსები	6	6,165,736	4,647,694
სულ მიმდინარე აქტივები		**7,344,454**	**8,574,926**
სულ აქტივები		**7,344,454**	**8,574,926**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
დარიცხული ხარჯები		3,143,387	1,087,527
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		14,725	1,468,117
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ		1,207,035	351,977
ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ, მოგების გადასახადის გარდა		120,773	65,479
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**4,485,921**	**2,973,101**
სულ ვალდებულებები		**4,485,921**	**2,973,101**
სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულება		**2,858,533**	**5,601,825**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ფილიალის ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 26 სექტემბერს:

Signed by:
Anar Hajiyev
DB6F19198CF44D6...

ანარ ჰაჯიევ, უფლებამოსილი პირი

Подписант:
C1E72F1C155F4FF...

ულვია აბდულლაევა, ფინანსური მენეჯერი

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2023	2022
საოპერაციო ხარჯები	7	(92,357,426)	(41,045,809)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(8,652,846)	(7,375,983)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		192,552	1,486,585
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე და სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების ხელახალ შეფასებამდე		**(101,202,825)**	**(46,935,207)**
მოგების გადასახადი			
სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების ცვლილება		**(101,202,825)**	**(46,935,207)**

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე და სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების ხელახალ შეფასებამდე		(101,202,826)	(46,935,207)
კორექტირებები:			
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(192,552)	(1,486,585)
ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**(101,395,378)**	**(48,421,792)**
გაცემული ავანსების ზრდა		(6,165,737)	(4,647,694)
დარიცხული ხარჯის ზრდა		3,143,387	1,087,527
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებების ზრდა		14,726	1,468,117
მიმწოდებლების მიმართ ვალდებულებების ზრდა		1,207,035	351,977
საგადასახადოს მიმართ ვალდებულების ზრდა, გარდა მოგების გადასახადისა		120,773	65,479
ძირითადი საშუალებების ზრდა		(676,459)	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა		89,422	-
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(156.103.207)**	**(50,096,384)**
ფინანსური საქმიანობა			
ფულადი შენატანი სათავო ოფისიდან		152,575,104	51,961,281
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**152,575,104**	**51,961,281**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**3,528,103**	**5,413,817**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		**3,927,232**	**575,751**
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		192,552	1,486,585
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	5	**591,681**	**3,927,232**

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების ანგარიშგება

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	–	–
სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების კლება	(153,643,802)	(45,762,103)
სათავო ოფისის ფულადი შენატანი	156,502,335	51,363,928
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	**2,858,533**	**5,601,825**

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ფილიალი და მისი საქმიანობები

ფილიალი შპს „SOCAR Midstream Operations“ (რეგისტრირებული აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. შემდგომში „სათავო ოფისი“ ან „მფლობელი“) დააფუძნა 2020 წლის 11 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და მან ფუნქციონირება 2021 წლის აპრილიდან. სათავო ოფისი დაფუძნდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის და „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის“ (სოკარი) პრეზიდენტის მითითებით, ნავთობისა და გაზის ექსპორტის სახმელეთო მილსადენებსა და ობიექტებში აზერბაიჯანის აქციების სტრატეგიული პაკეტის და მისი ინტერესების წარმოდგენისთვის.

ფილიალი არ წარმოდგენს ცალკე რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. ეს არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ უცხოური საწარმოს რეგისტრირებული ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდით: 406312930, ის არ გასცემს წილობრივ ინსტრუმენტებს და შესაბამისად არ წარადგენს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ფილიალის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „სოკარი“, რომელსაც ფლობს და აკონტროლებს აზერბაიჯანის მთავრობა.

ფილიალის იურიდიული მისამართია ისნის რაიონი, იალბუზის ქ. #14–ის მიმდებარე მიწის ნაკვეთი 43/018 / 300 არაგველის ქ. #24, თბილისი, საქართველო.

ფილიალის ძირითადი საქმიანობაა სათავო ოფისის საქმიანობის გაფართოება და მისი დახმარება სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტის ოპერატორის სახით მოქმედებასა და საქართველოში მილსადენის ფუნქციონირებაში. სამხრეთ კავკასიის მილსადენი აშენდა შაჰ დენიზის ბუნებრივი გაზის აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთში ექსპორტირებისთვის. მილსადენი ბაქოში სანგაჩალის ტერმინალიდან იწყება. ის მიუყვება ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნედლი ნავთობის მილსადენის მარშრუტს, რომელიც აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით თურქეთში ჩადის, სადაც ის თურქეთის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ სისტემას უერთდება. მილსადენი 2006 წლის ბოლოს ამუშავდა, როდესაც ის ახდენდა ბუნებრივი გაზის აზერბაიჯანიდან საქართველოში, ხოლო 2007 წლის ივლისიდან თურქეთში ტრანსპორტირებას შაჰ დენიზის 1–ლი ეტაპიდან.

2020 წლის 19 მარტს სამხრეთ კავკასიის მილსადენის ტექნიკური ოპერატორის ფუნქცია კომპანიისგან „ბი–ფი ექსპლორეიშენ (შაჰ–დენიზი) ლიმიტედისგან“ სათავო ოფისს გადაეცა. გადაცემის პროცესი, რომელიც 2020 წლის მარტში დაიწყო წარმატებით დასრულდა 2021 წლის ივლისის თვეში.

ფილიალის დაფუძნების ერთადერთი მიზანია სათავო ოფისის, როგორც ბუნებრივი გაზის მილსადენის ოპერატორის, ყოველდღიური საქმიანობის ეფექტურად მართვის უზრუნველყოფა. ეს გულისხმობს: პროექტების დაფინანსებისას ფულადი ნაკადების უზრუნველყოფას მესამე პირებთან და საჯარო უწყებებთან სათანადო გარიგებების გაფორმების პროცესში, რომლის მიხედვითაც პროექტები აღსასრულებლად მესამე პირებს გადაეცემათ, ასევე სათანადო სამუშაო პერსონალის შერჩევას, თუ ეს აუცილებელია პროექტის აღსრულებისა და სხვა ტიპის საქმიანობის განსახორციელებლად, რომლებიც საჭიროა ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მილსადენების პროექტის ფუნქციონირებისა და გარედან მართვისთვის. ფილიალი ფუნქციონირებს „არ არის მოგება არ არის ზარალი“ პრინციპის საფუძველზე. ფილიალის მიერ გაწეული ყველა ხარჯი გადანაწილდება „სათავო ოფისზე“, რომელიც ანაზღაურდება ფულადი ინექციით სათავო ოფისისგან. ამგვარი ანაზღაურება აღირიცხება სათავო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების მოძრაობაში.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) მომზადების საფუძველი

ფილიალის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾).

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფილიალს სათავო ოფისთან დაკავშირებული წმინდა ნარჩენი ღირებულება აქვს 2,858,533 ლარის ოდენობით, 2023 წელს სათავო ოფისისგან მიღებულ ფულად სახსრებსა და ფილიალის მიერ გაწეული ფაქტიურ ხარჯებს შორის სხვაობის გამო. ის ფილიალის კონკრეტული ოპერაციებისგან მომდინარეობს. ფილიალის მიერ გაწეული ხარჯების დაფარვის მიზნით, სათავო ოფისისგან მიიღება ფულადი სახსრები დაფინანსების მოთხოვნის გზით (შიდა დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება სათავო ოფისისგან თანხების მოსათხოვად), როდესაც დგება გადახდის ვადა და არა როდესაც ხდება ვალდებულების დარიცხვა. ფილიალი სათავო ოფისს უგზავნის დაფინანსების მოთხოვნას ჩვეულებრივ გადახდის ვადის დადგომამდე 2–3 დღით ადრე.

შესაბამისად, ფილიალის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ დიდწილად დამოკიდებულია სათავო ოფისის პოზიციაზე მოთხოვნისთანავე გადაუგზავნოს ფული ფილიალს.

იმ ფაქტის გამო, რომ სათავო ოფისი წარმოადგენს „სოკარის“ 100%–იან შვილობილ კომპანიას, ფილიალის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „სოკარი“ საქართველოში სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტს სტრატეგიულ ინვესტირებად მიიჩნევს და ის ფლობს შესაბამის რესურსებს და განზრახვას განაგრძოს საქმიანობა ამ სფეროში. ის სათავო ოფისს გაუწევს საჭირო ფინანსურ მხარდაჭერას ფილიალის მიერ ფუნქციონირების გაგრძელების და მის მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების დაკმაყოფილების სანაცვლოდ.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

ფილიალი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ფილიალი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(დ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფილიალის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში – ლარში, რომელიც ასევე არის ფილიალის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც ფილიალი ფუნქციონირებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ფილიალის მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აღიარდება მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალის სახით.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც გადასახადები მოგება–ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული დავალიანებები და კრედიტორული ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

მიმღები ქვეყნის ხელშეკრულების თანახმად, სამხრეთ კავკასიის მილსადენის ყოველი მონაწილე გათავისუფლებული უნდა იყოს დამატებული ღირებულების გადასახადისგან (0%–იანი განაკვეთი) ყველა წარმოებულ საქონელზე (ბუნებრივი გაზის ჩათვლით), მომსახურებებსა და პირდაპირ და ირიბად მიწოდებულ ტექნოლოგიაზე, შესაბამისად ფილიალი საქართველოში განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმით სარგებლობს და გათავისუფლებულია დღგ–ისგან.

(iii) წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ფილიალი ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებსა და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში („FVPL“) ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ფილიალის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ფილიალი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ფილიალი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ფილიალმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15–ით *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI–ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ფილიალის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა–გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ფილიალი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებაში ან ზარალში სამართლიან ღირებულებაში ასახული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ფილიალისთვის ყველაზე აქტუალურია. ფილიალი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ფილიალის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ფილიალის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა.
- ფილიალმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ფილიალმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ფილიალმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

გაუფასურება

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ფილიალი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება–ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ფილიალის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს დარიცხულ ხარჯებს, ვალდებულებებს თანამშრომელთა და მომწოდებლების მიმართ.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

დარიცხული ხარჯები და ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ

ამგვარი ხარჯების დარიცხვა ხდება კონტრაჰენტის მიერ ვალდებულებების შესრულებისას, რომლებისთვისაც არ გაცემულა ინვოისი ან მიღებულა სხვა დოკუმენტაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კრედიტორული ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ ირიცხება კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლისთვისაც ფილიალი იღებს შესაბამის ინვოისს ან სხვა დოკუმენტაციას. ორივე თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ფილიალისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფილიალი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, ფილიალმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფილიალი არ ფლობს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც მიმოქცევაშია აქტიურ ბაზრებზე.

ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში არაა, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. ასეთი მეთოდები შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანი პირობებით ადრეულ წარსულში შემდგარ საბაზრო გარიგებებს, არსებითად ანალოგიური სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე სამართლიანი ღირებულების გამოყენებას, დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზს ან შეფასების სხვა მოდელებს. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია 11–ე შენიშვნაში.

(ზ) თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ანაზღაურება, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები, შენატანები სახელმწიფო საპენსიო ფონდში, დაზღვევა და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წელს, რომელშიც ფილიალის თანამშრომლები გასწევენ შესაბამის მომსახურებებს.

ფილიალში ასევე მოქმედებს კონკრეტული სარგებლის საპენსიო გეგმა თანამშრომლებისთვის, რაც მოითხოვს შენატანების განხორციელებას განცალკევებით ადმინისტრირებად ფონდში და გარანტირებული საინვესტიციო შემოსავლის დარიცხვას. როდესაც თანამშრომელი ტოვებს ფილიალს, მას გადაუხდიან დანაზოგს ერთიანი თანხის და ინვესტიციაზე შემოსავლის სახით. დასაქმებული თანდათანობით გახდება უფლებამოსილი გამოიტანოს ფილიალის შენატანები, დაგეგმილი მომსახურების წლების კონკრეტული რაოდენობის გასვლის შემდეგ. სახსრებს მართავენ მეურვეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საპენსიო სქემის აქტივების ადმინისტრირებასა და საინვესტიციო სტრატეგიის განსაზღვრაზე.

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- იჯარის ვალდებულება გაყიდვაში და უკუიჯარაში - შესწორება სტანდარტში ფასს 16;
- *გრძელვადიანი ვალდებულებები დათქმებით* – შესწორება სტანდარტში ბასს 1;
- *მიმწოდებლის ფინანსური სქემები* – შესწორება სტანდარტში ბასს 17 და ფასს 17 *;*
- *ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებად* – შესწორება სტანდარტში ბასს 1;
- აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორება სტანდარტში ბასს 10 და ფასს 28;

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფილიალის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ფილიალი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი ჯგუფს მიესადაგება.

ბასს (IAS) 1–ის ცვლილება „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“

2020 წლის იანვარში ბასსს–მა გამოცა ბასს (IAS) 1–ის 69–დან 76–მდე პუნქტების ცვლილება – მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიცირების მოთხოვნების განსასაზღვრად. ცვლილებები განმარტავს:

- რას გულისხმობს ანგარიშსწორების დაფარვის უფლება;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის;
- ამ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს შესაძლებლობა იმისა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად იქნება წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების ვადები არ იმოქმედებს მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და გამოიყენება უკუქცევითი ძალით. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა – ბასს (IAS) 1–ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს–ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

2021 წლის თებერვალში ბასსს–მა გამოსცა ბასს (IAS) 1–ის და ფასს–ების გამოყენების პრაქტიკის მე–2 განცხადების – *არსებითობასთან დაკავშირებული მსჯელობები* – ცვლილება, რომელშიც მან წარმოადგინა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები საწარმოების დასახმარებლად სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების არსებითობასთან დაკავშირებულ მსჯელობაში. ცვლილების მიზანია დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გაკეთებაში, რომლებიც მეტად სასარგებლოა საწარმოების „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნის ჩასანაცვლებლად მათი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნით და სახელმძღვანელო მითითების დასამატებლად იმაზე, თუ როგორ იყენებენ საწარმოები არსებითობის კონცეფციას სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ბასს (IAS) 1–ის ეს ცვლილება ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება. რადგან პრაქტიკული განცხადების 2 ცვლილება უზრუნველყოფს არასავალდებულო სახელმძღვანელო მინიშნებებს ტერმინის „არსებითი“ განმარტების სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციაში გამოყენებაზე, ამ ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი საჭირო არ არის.

ფილიალი აფასებს ამ ცვლილების გავლენას იმ გავლენის განსაზღვრებაზე, რომელიც მათ აქვთ ფილიალის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

სხვა გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში. მოსალოდნელი არ არის, რომ ეს სტანდარტები გავლენას მოახდენენ ფილიალზე:

- ფასს (IFRS) 17 „*სადაზღვევო ხელშეკრულებები*“;
- ფასს (IFRS) 1 – „*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*“ – შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს;
- ფასს (IFRS) 8 – სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრა
- ბასს (IAS) 12 - *ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი*

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას და ვარაუდს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ფილიალმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება ფილიალის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ბანკში ნაღდი ფულის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ფილიალი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს. ფილიალის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ბანკში 591,681 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს საქართველოს კომერციულ ბანკებში არსებულ უპროცენტო მიმდინარე ანგარიშებს:

	2023	2022
ნაღდი ფული ბანკში, აშშ დოლარში გამოხატული	528,983	3,767,968
ნაღდი ფული ბანკში, ბრიტანულ ფუნტში გამოხატული	411	7,450
ნაღდი ფული ბანკში, ევროში გამოხატული	11,717	
ნაღდი ფული ბანკში, ლარში გამოხატული	50,568	151,814
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**591,681**	**3,927,232**

6. გაცემული ავანსები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლების მდგომარეობით გაცემულია ავანსები მოიცავდა შემდეგს:

	2023	2022
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	964,908	909,412
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	33,152	14,026
სხვა გაცემული ავანსები	5,167,676	3,724,255
სულ გაცემული ავანსები	**6,165,736**	**4,647,694**

გაცემული ავანსების მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებულია აგრეგატის შეკეთებით და სამუშაო სპეციფიკაციის გამო განხორციელდა ავანსი ერთ მომწოდებელთან, რომელიც წარმოადგენს ძირითადი მომსახურების გამწევს.

7. საოპერაციო ხარჯები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლების მდგომარეობით საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
ანაზღაურება, ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15,325,591	9,695,830
უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯები	4,901,990	2,396,266
სოციალური დაზღვევის და საპენსიო შენატანები	3,937,044	2,824,640
განთავსების ხარჯები	5,491,038	963,719
ტრანსპორტირების ხარჯი	5,424,746	2,288,214
ინტერნეტის და საკომუნიკაციო ხარჯები	535,145	479,706
კომუნალური ხარჯი	1,482,013	857,412
სხვა ხარჯები	1,207,522	179,722
IT ხარჯი	716,580	1,818,140
ძრავის შეცვლის/რემონტის ხარჯი	39,961,556	-
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	12,431,179	19,542,154
სულ საოპერაციო ხარჯები	**91,414,410**	**41,045,809**

2022 წელთან შედარებით გაზრდილი ბიზნეს ოპერაციების შედეგად დაფიქსირდა რემონტთან, ინსპექტირებასთან, მონიტორინგთან დაკავშირებულ ხარჯებში მნიშვნელოვანი ზრდა. 2022 წელთან შედარებთ, 2023 წელს COVID-19 შეზღუდვების სრულად მოხსნის შემდეგ კომპანიამ მეტი დატვრთვით ფუნქციონირება განაახლა. ამ პერიოდში შეკეთდა და გამოიცვალა გაზის ძრავა. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ფარგლებს გარეთ და შესაბამისად ძრავი გაიგზავნა საზღვარგარეთ.

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
ანაზღაურება, ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	6,800,669	3,699,549
პერსონალზე გაწეული სხვა ხარჯები	56,730	889,629
სოციალური დაზღვევის და საპენსიო შენატანები	943,016	278,043
საოფისე მარაგები	1,361,659	108,433
სხვა ხარჯები	433,787	3,249
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**9,595,862**	**4,978,903**

9. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

2023 წელს ფილიალის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავდა დეპარტამენტების ხელმძღვანელებს. უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრების და რამდენიმე მენეჯერის მთლიანი ანაზღაურება, რომელიც სრული განაკვეთის ეკვივალენტის საფუძველზე განისაზღვრა, ამ კატეგორიის ფარგლებში მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
მთლიანი ანაზღაურება	2,385,122	2,826,505
პირების რაოდენობა	12	12

(ბ) შესყიდვები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებისგან

	2023	2022
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	**გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**
ნავთობის შესყიდვა		
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	61,869	148,640

10. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

ფილიალის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს დარიცხულ ხარჯებს, ვალდებულებებს თანამშრომელთა და მომწოდებლების მიმართ. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ფილიალის ოპერაციების დაფინანსება. ფილიალის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ფილიალის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საბაზრო რისკები.

10. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

მიმოხილვა (გაგრძელება)

რადგან ფილიალი არ წარმოადგენს განცალკევებულ იურიდიულ პირს, ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს სათავო ოფისი რეგიონალურ და ქვეყნის დონეზე. ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ფილიალის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, სათავო ოფისისგან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება მესამე პირების მიმართ საოპერაციო და მომსახურების ვალდებულებების დასაფინანსებლად.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანია გასწევს საკრედიტო რისკს მისი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების პორტფელიდან და შესაძლოა განიცადოს ზარალი კონტრაჰენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკში, რომლებსაც ფილიალთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა საანგარიშგებო თარიღისთვის 591,681 ლარი იყო.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფილიალს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ფილიალის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ფილიალის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. ფილიალი არ გასწევს ლიკვიდურობის რისკს, რადგან სათავო ოფისისგან მიღებული ფულადი სახსრები ხორციელდება დაფინანსების მოთხოვნის საფუძველზე, როდესაც დადგება გადახდის ვადა.

10. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. საპროცენტო განაკვეთის რისკი ფილიალს არ ემუქრება, ვინაიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრედიტორულ ვალდებულებებზე პროცენტი არ ერიცხება. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკი მოქმედებს, მოიცავს კრედიტორულ ვალდებულებებს და მიმდინარე ანგარიშებს ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის

Docusign Envelope ID: E5D5DCF3-2914-4309-A84D-BACABA51DC7F

(თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს. კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

31 დეკემბრის მდგომარეობით ფილიალის სავალუტო რისკები ასეთია:

	აშშ დოლარში გამოხატული 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	200,004
რისკის ნეტო ოდენობა	**200,004**

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ფილიალი არ გასწევს სავალუტო რისკს, რადგან ის მოქმედებს „არ არის მოგება არ არის ზარალი“ პრინციპის საფუძველზე.

(დ) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. ფილიალს მიაჩნია, რომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება მათი სამართლიანი ღირებულების გონივრული შეფასებაა. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, დარიცხული ხარჯების, თანამშრომელთა და მომწოდებელთა წინაშე ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულ საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებულად განისაზღვრება მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

11. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 და 2024 წლებში, აილიალმა მიიღო ფულადი შენატანი სათაო ოფისიდან, შესაბამისად 94,345,030 და 59,911,544 ლარის ოდენობით.